სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

18383692703921

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N210798808

რეგისტრაციის თარიღი

29.07.2021 წ

ნოტარიუსი: ანჟელა მანია

მისამართი: ქ. თბილისი, იონა ვაკელის ქ. N 1

ტელეფონი: 5 (93) 677685; ელ.ფოსტა amania@notary.ge

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი
მინდობილობა

ორიათას ოცდაერთი წლის ოცდაცხრა ივლისს მე, ანჟელა მანიას ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: **ქ. თბილისი, იონა ვაკელის ქუჩა № 1**, მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა: თამარ ბიძინაშვილმა. მან განაცხადა, რომ სურს, უფლებამოსილება მიანიჭოს: დარეჯან ახვლედიანს და/ან ტატო მიროტაძეს.

თამარ ბიძინაშვილმა მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი დამოწმება სანოტარო წესით ჩემს მიერ. მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად აღნიშნულმა პიროვნებამ მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. მიმნდობის ნების გამოვლენის ნამდვილობისა და გარიგების შინაარსის დადგენისთანავე შედგა შემდეგი აქტი:

თამარ ბიძინაშვილმა (დაბ.25.03.1977წ. თბილისში, პირადი № 01015003961, რეგისტრირებული მისამართზე: ქ. თბილისი ალ.დიუმას ქ. N 25) რომელიც შემდგომში წოდებულია, როგორც, „მიმნდობი პირი“, დარეჯან ახვლედიანს (დაბადებული: 02.12.1964წ. მცხეთაში, პირადი №31001012947) და/ან ტატო მიროტაძეს (დაბადებული: 08.03.1992წ. მცხეთაში, პირადი №01008051070) ერთად ან ცალ-ცალკე რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „მინდობილი პირები“, მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

მუხლი 1. უფლებამოსილების შინაარსი:
მინდობილი უფლებამოსილია:

იყოს(ნ)ს ჩემი წარმომადგენელი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებში, იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრში, არქიტექტურის სამსახურსი, ქალაქის მერიში, საპროექტო და არქიტექტურის სამსახურში, არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურში, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში, ინფრასტრუქტურის სამსახურში, იუსტიციის სახლში, სანოტარო ბიუროში, მიმართო(ნ)ს განცხადებით, წარადგინო(ნ)ს და მიიღო(ნ)ს საჭირო დოკუმენტები, განაახლო(ნ)ს ამონაწერი, აწარმოო(ნ)ს უძრავი ქონების მდებარე **ქალაქი თბილისი, სოფ. დიღომი, ვახუშტი ბატონიშვილის ქ. № 19 (ს/კ 01.72.14.032.981)** გამიჯვნა, გაყოფა, გაყოფასთან დაკავშირებული საქმიანობა, ხელი მოაწერო(ნ)ს შესაბამის განაცხადს, წარადგინო(ნ)ს აზომვითი ნახაზი, ხელი მოაწერო(ნ)ს სარეგისტრაციო განაცხადებს, თანხმობის ფორმებს, განაახლო(ნ)ს შეჩერებული სარეგისტრაციო განაცხადი, აწარმოო(ნ)ს არნიშნულ უძრავ ქონებაზე მშენებლობის ნებართვების მიღებასთან დაკავშირებული საქმიანობა, შეატანხმო(ნ)ს/წარადგინო(ნ)ს/დაამტკიცო(ნ)ს პროექტები, მიიღო(ნ)ს მშენებლობის/პროექტის ცვლილებების ნებართვა, პროექტები და სხვა საჭირო ნებარვები, შეიტანო(ნ)ს ცვლილებები, განახორციელო(ნ)ს პროექტის კორექტირება, აწარმოო(ნ)ს მშენებლობა, ატვირთო(ნ)ს ელექტრონული დოკუმენტაციები, წარადგინო(ნ)ს, მიიღო(ნ)ს ნახაზები, დაწერო(ნ)ს თანხმობები, ჩემი სახელით მიიღო(ნ)ს გადაწყვეტილებების პროექტის შთანხმების/პროექტის ცვლილებების ან/და შნობის დაშენების /ექსპლუატაციაში მიღების საკითხთან დაკავშირებით, გადაიხადო(ნ)ს კანონდებლობით დადგენილი გადასახადები, მოიპოვო(ნ)ს ყველა საჭიროს დოკუმენტები. აგრეთვე აღნიშნული სამუშაოებზე ნებართვის მოპოვებასთან დაკავშირებით, ან/და შემდგომ პროექტში ან სამართლებლივ აქტებში სხვადასხვა ხარვეზებისა თუ განსახორციელებელი ცვლილებებიდან გამომდინარე ატვირთო(ნ)ს დოკუმენტაცია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურის საიტზე, კერძოდ tas.ge, ამასთან მინდობილი პირ(ებ)ი უფლებამოსილია ნებისმიერ სასმახურში აწარმოო(ნ)ს ყველა ის საქმიანობა, რაც დაკავშირებული იქნება ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან.

მუხლი 2. უფლებამოსილების ვადა
წინამდებარე აქტი მოქმედებს ერთი წლის ვადით.
მინდობილობა გაცებულია სხვა პირზე უფლებამოსილების გადანდობის უფლების გარეშე.

აქტის ეგზემპლარები:
წინამდებარე აქტი შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი შეინახება ნოტარიუსის ანჟელა მანიას სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცემა მიმნდობს.
მე, ნოტარიუსმა, მიმნდობს წავუკითხე წინამდებარე აქტი და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მან წაიკითხა აქტი, განაცხადა, რომ იწონებს წინამდებარე აქტს და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა მას ხელი. ყოველივე ზემოთქმულს ვადასტურებ ჩემი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

მე, თამარ ბიძინაშვილი (პირადი № 01015003961) როგორც უმრავი ქონების მდებარე მისამართზე ქალაქი თბილისი, სოფ. დიღომი, ვახუშტი ბატონიშვილის ქ. № 19 (ს/კ 01.72.14.032.981) მომავალი მესაკუთრე, თანახმა ვარ, შეთანხმებული პროექტის # 5302030 თარიღი 09.03.2021 ფარგლებში აწარმოონ მშენებლობა დარეჯან ახვლედიანმა (დაბადებული: 02.12.1964წ. მცხეთაში, პირადი №31001012947) და ტატო მიროტაძემ (დაბადებული: 08.03.1992წ. მცხეთაში, პირადი №01008051070) რასაც ვადასტურებ ჩემი ხელმოწერით:

ხელმოწერა _____

ორიათას ოცდაერთი წლის ოცდაცხრა ივლისს მე, ანჟელა მანიას, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, იონა ვაკელის ქუჩა № 1, მომმართა თამარ ბიძინაშვილმა (დაბ.25.03.1977წ. თბილისში, პირადი № 01015003961, რეგისტრირებული მისამართზე: ქ. თბილისი ალ.დიუმას ქ. N 25). მან განაცხადა, რომ სურს თანხმობის შედგენა და თანხმობაზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად თამარ ბიძინაშვილმა (დაბ.25.03.1977წ. თბილისში, პირადი № 01015003961, რეგისტრირებული მისამართზე: ქ. თბილისი ალ.დიუმას ქ. N 25) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, შევადგინე წინამდებარე თანხმობის პროექტი და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან წაიკითხა თანხმობა და განაცხადა, რომ ის ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა მას ხელი, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილების № 507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათ გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე მუხლისა – 2 (ორი) ლარი; დღგ 0.36 ლარი - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, აგრეთვე 2 ლარი ელ. რეესტრში რეგისტრაციისათვის, თანახმად ზემოთმითითებული დადგენილების 39-ე მუხლისა.

ნოტარიუსი /ანჟელა მანია/

სანოტარო მომსახურების ხარჯები:
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“, 31-ე და 39-ე მუხლებისა და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად, გადახდილია სანოტარო საზღაური: 10 (ათი) ლარი, დღგ: 1.80 (ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი და ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური: 2 (ორი) ლარი.

მიმწდობი:

სახელი, გვარი _____

ნოტარიუსი ანჟელა მანია



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N210798801
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	29.07.2021 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ანჟელა მანია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, იონა ვაკელის ქ. N 1
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	5 (93) 677685; ელ.ფოსტა amania@notary.ge
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	30127729318021

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18